

# კომიტეტი

1883-1889

«მწერები» გამოცემის თამაში თარჯიში, უზარდი თვის თხუთმეტი და თუ-და-ათ რიცხვებში. 1889 წლის 1 თებერვალი

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

| «მწერები»         | «მწერები» რუსული გმირობით |
|-------------------|---------------------------|
| 12 თვით . . . . . | 5 მან.                    |
| 6 — — — — —       | 6 — — . . . . .           |

გაზეთის ფულის და უფალ გარი წერილების გაგზავნა  
შეიძლება ამ აღნერთ: ვა კორის, ვა კოითორუ  
რედაქცია „Mukemci“ (Пастыр).

(ფსალმუნი დაგითისა 13—5).

(ორითვე სიტყვა დანოსების და მედანოსების შესახებ)

ამ უკანასკნელ ხანებში ერთობ ბერსა სწერენ  
როგორც რუსულ, ისე ქართულ გატეგებში «დანო-  
სების» და «მედანოსების». ზოგიერთი მწერლები  
დადის ჭაპანწყვეტით უმტკიცებენ სახოგადოებას «და-  
ნოსების» და «მედანოსების» სისაბაგლეს, ამ უკა-  
ნასკნელთა საქართველოს უმგევანობას და სიცუდეს. «და-  
ნოსების» გარეცლება მიმართ მეორედ მოსელის  
ნიშანად, ქვეყნის დაქცევის და ხალხის დაღუცეის  
მომასწავებლად! მართლენა ამტკიცებენ, რომ «და-  
ნოსები» მხოლოდ მექრეთში იწერებიან და მარტო მექ-  
რებისაგანო. მეტრლები ამტკიცებენ, რომ «დანოსები»  
იწერება ქართლში; ხოლო რუსები აბრალებენ ქართვე-  
ლებაც და რუსებსაც. ვიღაცა სიონელი გაზ. თეატრში  
გამოსულა და ქვეყნას უმტკიცებს, რომ «დანოსები»  
მხოლოდ მუთაისში იწერება და უთუოდ მწერლებიც

უველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელიც  
რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდავათ, უთუოდ  
ვრცელდა და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან სელ-  
მოწერა დანი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება  
ხან-დას, ხან უემოკლებით და შესწორებით დაბეჭდონ.

სტატია, რომელიც არ დაბეჭდიან, სამი თვის გამშვე-  
ლობაში შეძლება ავტორებს-მათის ხარჯათ უკავე დაეცრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილიც და  
თარგმნით დაბეჭდიან.

ეს თავმცირები არიანო; სხვაგან ამისთანა შემთხვევა  
არსად მოხდება!.. რაც ბრძანება გამოსულა, რომ  
«დანოსების» წერას თავი დანებეთო, სულ ქუთათურ  
«შედანოსების» შესახებ გამოვიდათ და სხვ.» ამ უკა-  
ნასკნელი მოსაზრების დამამტკიცებელი პირი სწო-  
რედ დიდი რეგენი და ძლიერ დაჩლუნებული გო-  
ნების პატრონი კაცი უნდა იყოს. ამდენი ხანი რო-  
გორ ვერ შეიტყეს ამ ბატონებმა, რომ კაცი, სადაც  
უნდა იყოს იგი, ყველგან თავის კაცობრიულ ნაკლუ-  
ლებას ი ჩე ნს? როგორ არ იყიან, რომ სულ  
მდაბალი და ზნეობით დაცუმული კაცები უოველ თემ-  
ში მოინახება: ქართველებშიაც, რუსებშიაც, ფრანცუ-  
ზებშიაც და სხვაებში. როგორ არ იყიან, რომ იე.  
სო. მრისტები თორმეო მოციქულში ერთი იუდა გამ-  
ცემელი აღმოჩნდა! როგორ არ იყიან, რომ ათას გზით  
გამოსუხადებით რუსეთის უპირველეს გუბერნიებში,  
რომ «დანოსების» წერიათების თავი დაენებებით,  
მაგრამ არა გამოვიდა რა? როგორ არ იყიან ის, რომ  
ქართველი «მედანოსები» სრულებით ვე შეეტყე-  
ბიან სხვა თემის «მედანოსების»!..





შევიგეთ; შევიტყოთ; რომ ზოგიერთი პირები «დანოსება» სწერენ და მთავრობის და საზოგადოების წინაშე აბეზლებენ თანამდებობის პირებს და ხან-დის-ხან კერძო პირებსაც. მს ასე ყოფილა, არის და იქმ-ნება, ვინემ ქვეყანაზე ხალხი არ მოიპობა! ამას რაღა დამტკიცება უნდა? ჩვენ აქ სრულებით არა გვაქვს სახეში ვაჭრო ბედანოსებები და მათი საქციუ-ლი საზიქლარ და სამარტვინო საქციელად აღნიშ-ნოთ; სრულებით არა გვაქვს სახეში, რომ საზოგა-დოებამ მედანოსები შეიძრალოს, არ გაკიცხოს და მათზე აღარ ასფერი სოქეას. პრა; ჩვენ აქ გვინდა მკითხველების ყურადღება მიეაქციოთ სულ სხვა საგანს.

იტყვიან ხოლმე: ალექსანდრე მაკედონელი დიდი კაცი იყო, მაგრამ სტოლებს რათ ამტკიცეთო. მიიტომ რომ შეთაისში ერთი და ორი, თუ გინდა ათი და ოციც «მედანოსე» დღე-და-ღამე «დანოსებს» სჯლაბნიდენ და აქედ-იქით აგზანიდნენ, აქ შეთაისი რა გასაკიცხავია და ან იმერლობა აქ რა შუაში არის? შეუთაისში, როგორც ბოლოს აღმოჩნდა, «დანოსებს» სწერადა ერთი რუსეთიდგან პირი როგორც მართველებზე, ისე რუსებზედ. მრთი ჰკითხეთ ამ ბატონებს ერთა, რა დაშავა აქ შეთაისმა ან იმერ-ლობამ, რომ ამ საზიქლარ «მედანოსეებთან» მთელ ხალხს და თემს ჩირქესა სცებენ. აქ უნებლიერ მაგონდება ერთი ახირებული მოთხრობა მაჩაბელზედა ურიაზე... შერტყეთ და დარწმუნდით, რომ «მედანოსეები» ყველ-გან და ყველა თემის ხალხში ბრძანდებიან. მს არა-ფერი გასაკირველი არ არის და მათი გაჩენა არც ძველის დაქცევის და არც მშე და მოვარის დაბნე-ლების მომასწავებელი არ არის...

მაგრამ ყველაზედ უფრო ერთი რამ გვაკვირვებს და გვაოცებს ჩვენ. ზეიკირს და ვერ აგვისხნია კი, თუ რატომ არიან ასე მოთმინებიდგან გამოსული ისინი, ვისაც ეს დანოსები ეხება? რად გაცხარებულან და გაანჩხლებულან და ყველა პატიოსან კაცებს «მედანოსეებთან» ერთად რათ ასწორებენ მიწასთან?

ხშირად შევხვედრიერთ ხოლმე სხვა-და-სხვა თა-ნამდებობის პირებს, რომლებზედაც დაბეზლებითი წე-რილები გაუგზავნიათ. სწორეთ საკოდავ მდგომარეო-ბაშიდ გვინახავს იგინი ჩაერთინილნი ერთი უბრალო «დანოსისაგან». სიტყვები ყველში ერთად ეჩრებათ, ვერ ახერხებენ დაწერარებულად ლაპარაკს, კანკალე-ბენ, ტირიან. ძილის და ჭამის მაღალა დაკარგული აქვთ, მათთვის თითქმის ქვეყანა იქცევა და ყველაფერი

არეულ-დარეულა; ყველას შექავრან «დანოსებზედ», ლობე-ყორებს ედებიან. მრთი ვკითხოთ ამ კაცებს, თუ რა მომხდარია, რა ამბავია?

— «რა არ დაუწერიათ», შემოგვივიან პირ-ველი: «სახაზინო ფულები შემოეკრიხაო, საზოგა-დოების ფულებს ბოროტად ხმარობსო, სასმელ-საჭ-მელის ყიდვაში ფულებს იპარავსო, ეკონომისა და მას ერთობა აქვთ თუ ერთად სარგებლობენო, თავისი საქმე არ ესმისო, შავირდს ბალის გადასწორებაში ქრთამი გამოართვაო, ერთი კეირის მეცადინობიში შეგირდს ორმოცე თუმანი გამოართვაო და სუსტი შეგირდი გარდაიყვანაო, ფულების მოხვეჭისათვის რა-ლაც რეპეტუციები შემოილესო» და სხვა და სხვა და სხვა.

მეორენი შემოგჩილებენ: «ბატონო, რა არ მოუროშავთ: მწირაფლი სამართალი ხან-გრძლივად აქციაო, ღმენ ლოთაბს და კარტს თამაშობს და დღე რა სათამდის სხინაესო, კარგად არის და ავად-მეო-ფობას იკონებს და სასამართლოში არ მუშაობსო, მთხოვნელებს კამერის კარს უკერავს და საქმეებს უსპობსო, საქმის წარმოების ღირს ხალხს ძლიერ უზრდელად ეკიდებაო, თავის ჯამაკირს არ კმარიბს და ფულებს რჩება ბოროტ-განზრახეითა, კასის ფუ-ლები შემუჯამაო, ქრთამით და მიდგომით უმართ-ლო განჩინებას ადგენს; ერთის სიტყვით, ხალხს სტან-ჯავს, აწვალებს ისე, რომ წინანდელ მათ დაანბეჭებს კრძალვითა და კურთხევით მოაგონებსო...

მესამერი ამბობენ: «ქრთამის გულისათვის ავა-ზაკი გაუშვა, წესიერება არ დაიცაო, ქურდების მხარეს იქცერს და მათვან სარგებლობსო. მრთის სიტყ-ვით, საქმეს ვინდა აბრუნდას უზამს და გინდა და-რუნდისო». მეორენი მჭევრმეტყველურად წარ-მოსოთქმენ: «კაცის მკვლელი ლაიცა და განათავისუ-ლაო, მოწმებს ჩვენება თვეთონ შეუახბა და დას-წავლაო, საცოდავი კაცი გააღარიბა ისე უღეთოდ გადახდევინაო; ერთის სიტყვით, რომ ისინი არ იყონ, საქმის წარმოება სასამართლოში უურო ნაკლები იქმნებაო» და სხვ.

ვინ მოსთელის მათ გოდებას უდა ჩივილს. მრთ-ხშად ამტკიცებენ, რომ «ჩვენ არცემში დამაშავენი არა ვართ, ყველაფერი მოგონილია მტერობით. ჩვენ სპეტაკნი ვართ, ვითარცა თოვლით და უმანკონი — ვითარცა მტრედნით». თუ კი ეს ყოველივე ასეა,

ჩაშ რა აწერებსთ ამ კაცებს? თუ ყველაფერი მოგონილია მტერობით და ისინი კი დამნაშავენი არ არიან, მაშ ჩაღა დაუშავდებათ «დანოსებით»; მათ ხომ იციან რომ ხელ-მოუწერელი დაბეჭლებითი წერილებისა გამო გამოიძინა არ ინიშნება და გვიკირს, რომ ასე სწუხრან და იტანჯებიან?! მათ ადგილზე ი რას ვიტყოდით ჩენ: «სწერეთ და ჯლაბნეთ, სანამ არ მოგეწყინოსთ და სანამ ქალალდი და მელანი არ გამოგელიოსთ. მე თქვენი დაბეჭლებით ვერას მიზამთ, რადგან დამნაშავეთ თქვენს ბრალდებულობაში ჩემს თავს ვერ ვიცნობ. თქვენი დაბეჭლებით არც ძილს გავიტყოთ და არც ჭამის მაღას დავკარგავ. იმას, რაც არ არის, ვერ გააჩენთ და რა უნდა ჰქმნაო. მაგრამ... ამაზე შემდეგ.

### რა გდგომას არ არის მხარეში სწავლა? განათლების საჩვენე?

ჩენი ყმაწეილების სასწავლებლებში შესაყვანად მომზადებას დიდად აბრკოლებს ის გარემოებაც, რომ ჩენს ოჯახებში რუსულ ენაზე არ ლაპარაკობენ და გარდა ამისა ძლიერ მკაცრად არის განსაზღვრული წლოვანება, რომელზედ უნდესი არ მიიღება თითოეულს კლასში. მა გარემოება ერთის მხრით ნივთიერად ალარიბებს მშობლებს ჯერ კიდევ სასწავლებლის კარგბმძე, რადგან ძირიად უჯდებათ მათ შეიღების მომზადება, ხოლო მეორეს მხრით თეთი მასწავლებელნი, რომლებიც გადიოთ ამზადებენ ბავშვებს სასწავლებელში შესაყვანად, იძულებულნი არიან გვერდი აუქციონ პედაგოგის კანონებს და ამ გეარად დასაწყისშივე მრუდე გზაზე აყენებენ ნორჩ ყრმათა სწავლა-განათლების საქმეს. შეიქმნება თუ არა ბავშვი 7-8 წლისა, მისი კლასში შეყვანის დროც მოაღწევს. ამ მოკლე დროში ისე უნდა მოემზადოს ჩენი ყმაწეილი რუსულს ენაში, რომ მან შეიძლოს ეკამენი დაიჭიროს რუს მასწავლებლებთან, რომელთაც ერთი

სიტუაცია არ იციან ქართული ენიდამ. თუ როგორიმე გზით დაიჭირეს ეკამენი ჩენმა ყმაწეილებმა და სასწავლებელში შევიდნენ, იქაც ეს რუსები ეყოლებათ მათ მასწავლებლად. აქედამ ცხადია, თუ რამოდენად უნდა იციდნენ ჩენმა ყმაწეილებმა რუსული ენა სასწავლებელში შეყვანისათანავე, რომ მათ გაიგონ და შეითვისონ ქართული ენის უკუცი მასწავლებლების სწავლა-მოძღვრება. ჩენში საზოგადოდ 5—6 წელზე ადრე არ ჰქიდებენ ხელს ბავშვების მომზადებას, — ამიტომ ორი წლის განმავლობაში უნდა მოახერხონ მშობლებმა, რომ თავიანთ შეიძლებს ენა აუდგან რუსულს ენაზე, მაგრამ განა შეიძლება, რომ ორ წლში ასე შეისწავლოს ბავშვება რუსული ენა და ისიც სახელმძღვანელობის საშუალებით!.. შედიოთ ქართველი ბავშვების მდგომარეობაში, რომელთაც რუსი მასწავლებელნი უწნობ სიტყვებს და გაუგებარს აზრებს უნსიან მათ უწნობს, ე. ი. რუსულს ენაზე, — და მაშინ მიხედებით, თუ რა სასწავლად ჩასათვლელია, რომ ზოგიერთი ჩენი ბავშვები უძლებენ ამ სატანჯველს და ძლევამოსილად გამოიდან ამ ჯოჯოხეთიღან. ჩენ ვამზობთ ზოგიერთი ი. რადგან უძლეტესი ნაწილი პირველ საფეხურზედე იძლევა, ველარ ახერხებს ამ წყვდიადში გზის განვითარებას, ამიტომ იგი სამუდამოდ ესალმება. სასწავლებელსაც და სწავლა-განათლებასაც.

მშობელს მიჰყავს თავისი შეილი და აბარებს რომელიმე მასწავლებელს მოსამზადებლად. მასწავლებელი ტყობულობს ყმაწეილს წლოვანობიდგან, რომ მას, თუ იგი მალე არ მოემზადა, წლოვანება გაუცა და მერე მას სასწავლებელში ალარ მიიღებენ. რა ქმნას ჩაიმარჯე ლონისძიებით უნდა მოამზადოს მან მიბარებული ყმაწეილი დანიშნულს ვადაზედ. მასწავლებელი რომ გამოუდგეს პედაგოგის მოთხოვნილების მტკიცებ ალსრულებას და ნელ-ნელა — ბუნებრივად ამზადოს ბავშვები, როლის მოასწრებს პროგრამის გადასასვლას?! უნდა თუ არა, მან ძალა უნდა დაატანოს ყმაწეილის ბუნებას და ყოველთ ღონე უნდა იხმაროს, რომ ბავშვება როგორმე თავის ზრდას წაასწროს და ვადაზედ აღრე დამწიფედეს. აქ უნებლივთ გეაგონდება, თუ როგორ ექცევიან მებოსტნები გასყიდს ნესვებს, როცა პირველი უნდათ, რომ მალე გაიტანონ ისინი ბაზარში გასასაღებლად: ისინი კირშ უგრეხენ ხოლმე ნესვებს, რომლებიც, რასაკიტეველია, მალე ჭინებიან და ყეითლდებიან, ე. ი. იღებენ მწიფე ნესვებს უერს, მაგრამ მხოლოდ გარეგანად, შიგნით

\* ) ის. «მწევმისი»-ს № 2.

კი სრულიად უგემური და უმწიფანი რჩებიან. ამ ნაირად მასწავლებლები მიაუტოვენ ბავშვებს «Родное слово»-ს, რომელიც დაწესებულია რუსული ენის სახელმძღვანელოდ და დღე-და-ღმე აზეპირებიერენ მათ თუთიყუშმიერთ. უნდა შეენიჭოთ, რომ ეს წიგნი ჩვენი შეილებისათვის სრულიად გამოუსადეგარია ამ საქეში, რადგან იგი შედგენილია რუსის ბავშვებისათვის და რუსეთის ბუნებისა და ჩვეულებისა დავგარ. ჩვენი ბავშვებისათვის ამ წიგნში მეასედი ნაწილიც არაა გასაგები. ლერომან უშეელოს ბატ. ი. ბოგებაშვილს, რომელმაც თავისი მშენიერი სახელმძღვანელოს «Русское слово»-ს შედგენით შეუმსუბუქა ჩვენ შვილებს ეს მძიმე ულელი რუსული ენის შესწავლისა. ამ გვარს მზადებაში გაწერონილმა მასწავლებლებმა კარგად იციან გამოცდილებით, თუ რას და როგორ ჰკითხავენ კეზამენზედ მათს შეაირდებს და ამისადავგარ ასწავლიან მათ ყოველ კითხვაზე შესაფერ პასუხებს — სწორედ ისე, როგორც თუთიყუშებს სწრეთნიან ხოლმე. აქ, რასაკირველია, ადგილი არა აქვს არც განსაკუთრებითი კითხვას და არც საუბარს გარეშემორტყმულს სავნებზედ. საბრალო ბავშვმა გაიარა აგრ 40-მდე სტატია რუსულს ენაზედ, და მოცედი ნაწილიც არ ესმის ქართულად, ესე იგი არ იცის გავლილი სიტყვებისა და ფრაზების აზრი, ან კი რა საჭიროა ეს? მას ქართულად არავინ ჰკითხავს ნასწავლ სტატიების აზრს. მეზამენზე ბავშვებმა რუსული სიტყვები და ფრაზები რუსულად უნდა ახსნან და არა ქართულად. მს როგორც ზემოთ მოგვხსენეთ, მშევნიერად იციან ჩვენი ბავშვების მომზადებლებმა და მტკიცედაც აღგიან ამ გზას: არ უხვევენ მისგან არც მარჯვნით და არც მარტენით. ამნაირად მომზადებულ ყმაწვილს განცვიფრებაში მოჰყავხართ თქვენ თავისი მკეროცხლი პასუხებით, ის მარდად სინის, თითქმის, ყველა ნასწავლს სიტყვებს და ფრაზებს რუსულად, გიგებს თქვენ ყოველს კითხვაზედ გავლილი სტატიებიდან რუსულად; მაგრამ აბა გასინჯეთ ერთი, თუ ესმის მას აზრი თავისი პასუხებისა, ჰკითხეთ მას ამ პასუხების აზრი ქართულს დედა-ენაზედ, — და თქვენ დარწმუნდებით, რომ თქვენს წინ მდგარა მაშინა, რომელიც მეხანიკურად ისერიდა მეხანიკურად დაზეპირებულს სიტყვებს სრულიად უაზროდ და შეუგნებლად.

5'ე მეხანიკურად და უაზროდ ამზადებენ ყმაწველებს სხვა საგნებშიაც, მაგალითობრი, არითმეტიკაში და სამღებო სჯულში. ჩვენს ბავშვებს თუთიყუშობა ნამეტურ ემზევათ საღმრთო სჯულის შესწავლაში. აბა დაესწარით რომელიმე ჩვენ გიმნაზიებში საღმრთო სჯულის ეგზამინებზედ მოსამზადებელ კლასებში მისაღებ ბავშვებს და თქვენის თვალით და თქვენის ყურით დარწმუნდებით, რომ ჩვენ ბავშვებს სრულიადაც არ ესმით, ვის ეკედიებიან, ან რაზედ ლოცვილობენ ისინი მათგან გაზეპირებულს სლავინურს ლოცვებში. მს იმიტომ, რომ ამ ლოცვებს მათ არავინ არ უხსნის ქართულად, არც ასწავლიან მათ ხუცურად. მრთი სიტყვით ამ ლოცვებს ასწავლიან მათ სრულიად გაუვებლად და ამიტომ ლოცვებიდან ბავშვები არ იღებენ არაეთარს შთაბეჭდილებს, გრძელ უსიამოენო გრძელობისა მათის გაზეპირების დროს. მაგრამ ცოდვა არ არის ასე მეხანიკურად სწავლება ლოცვებისა?! ლოცვები ხომ ფრიად საჭირო და ყოველს მდვომარეობაში გამოსადევე გამოხატულებაა ჩვენი სულის მდვომარეობისა ლეთის წინაშე! ლოცვა გრძელობა და გრძელობითაც უნდა ცწავლობდეს მას კაცი. მაგრამ გრძელობას როგორ აღძრავს ჩვენში ისეთი რამე, რომლის აზრი არც კი გვესმის ჩვენ. ამიტომ ასე მეხანიკურად ლოცვების შესწავლა ჩვენ შევლებს სამუდამად უკარგავს მინშენელობას. რაც ბავშვობაში, რაიმე მიზეზისაგამო, ლრმად არ დამჩნევია ჩვენს სულს, რაც ჩვენ მაშინ მსუბუქად და გაუგებრად მიგეიღია, იმას ჩვენი სული მოელს სიცოცხლეში გულ გრილად და უგრძელებლად ეკიდება. მგონი არ შევცდებით, რომ ეხლანდელი დროის საჩრდელოებრივი გულ-გრილობის ერთს და უმთავრესს მიზეზად ჩაესთვალოთ ჩვენი ესრეთი დაუდევრობა ჩვენი შეილების საღმრთო სჯულის სწავლებაში; პირველ შეხედაზე დაწყებითა ლოცვების შესწავლას თითქო არ უნდა ჰქონდეს ესრეთი დიდი მნიშვნელობა, მაგრამ არ უნდა დავიგიწყოთ, რომ ამ საქმეში დაუდევრობა თეთი კეირტშივე ჰკლავს და ჰკინავს ჩვენი შეილების რელიგიურს გრძელობას. პთასი მაგალითია, რომ, თუ ერთხელ გარილდა აღა-მიანში ეს გრძელობა, მერე ვერას გზით მას ვეღარ გაათბობთ და აღძრავთ ხელ-ახლა.

ჩვენი ბავშვების უკანონად მზადების სამშენებლი შედეგები ამითი არ თავდებიან. ზემო ნახევრები ჰქონდების შინააღმდეგი სწავლების გამო ჩვენი ბავშვე-

ბის განება სწავლის პირველისა ეს ნაბიჯიდგან იცხება მნელი, ბუნდე, გაუგებარი და არეულ-დარეული აზრებითა და ცნობებით. მაგრამ ეს კიდევ არასუურია: მათი უბედურება კიდევ მით უფრო მატულობს, რომ ისინი თავიდამვე ეჩევეინ ცეკვათის მუშაქად, ბუნდად და გაურკვევლად შეთვისებას — და ეს მავნებელი ჩეცულება საშინალად აფერხებს მათ შემდეგს გახსნა-განვათარებას. რამოდენი ნიჭიერი ყმაშვილი დაუჩლუნგებია და გუნებით დაუუძლურებია ამ დამდევნელს ჩეცულებას. იქმნება ესაა მიზეზი იმ სამწუხარო მოვლენისა, რომ დღეს სრულიად ველარსად ვხედავთ დიდი ნიჭის კაცებს, შესანიშნავს ტალანტებსა და გრიოსებს, ჟველგან მთ ნაცვლად გვეჩირებიან ჩია-ჩია კაცები, ჭიუ-მოკლენი და შუბლ-ვიწრონი...

## ცუ-მორწმუნეობის მსხვერპლი.

კუსკის გუბერნიის, სოფლის ნაირტის ერთ გლეხს ეჭვიმე აქმდიანის კიდაცასგან გაუგონა, რომ კაცის ქონისაგან გაეკეთებული სანთლის საშეალებით რაც უნდა, იმას მომარავს კაცით. ეს ამბავი ამ გლეხს შეუტყობინება თავის მმის და ბიძაშეიასთვის, რომელთაც გადაუწყეტათ, რომ კაცის ქონი იშვიათ როგორმე.

რამოდენიმე დღის შემდეგ ეჭვიმეს უჩევება თავის ამხანაგებისათვის ერთი ახლად დასაუფლავებული ქალის საფეხურიდან ამოღება, მაგრამ ამხანაგება არ დათანხმებულია. მათ სამკუანოდ დაუნახავთ ცოცხალი კაცის ქანის შევა.

ერთხელ ეჭვიმეს შეხედრია ტუში მეზობლის უმაწვილი, რომლისათვისაც მას, კითომ სუმრიბით, წაუჭირია უელში ხელი, მაგრამ უმაწვილი გასხვეტია მას სედიდგან და გაქცეულა.

შემდეგ ეჭვიმეს ამხანაგებს მოუნდომებიათ თავის მეზობლის მოკვდა, რომელიც ტუში მისული შეშიათვის, მაგრამ კერ გაუბედავს, რადგან მორკვას იმედი არ ჭრანებიათ.

ბოლოს იგინი ბირ-და-ბირ წასულან თავის სოფლის მღვდელთან, მაგრამ მღვდელი გადაუჩენაა უბრა-

ლი შემთხვევას: მღვდელთან ამ დროს მოსულა ერთი გლეხი, რომელიც უთხოვნა მღვდლისათვის უმაწვილის მოსათვლა. მღვდელის უოქამის გლეხისათვის: « მენ წა... და მე ახლა გე ჩემი ცხენით წმოვდოლ ». არ, მამა, გეთავება, ერთად წავიდეთ, აავშეა ჟაღაც შეუძლოთ დაგსროვა, ემუდარებოდა გლეხი მღვდელის.

მღვდელი დათანხმებია და თან გაურდია გლეხს. ავაზავებს დაუნახავთ, რომ მსხვერპლი გაუცდით ხელიდგან, მაგრამ რას იქმოდენ.

წარსულს წლის სამს თქორმების სადამოთა ეჭვიმეს შეგედრია მინდობში თავის სოფლის თერთმეტი წლის წლი ლუკარი, რომელიც თავის ცხენს დაემებდა თურმე.

— თქვენი ცხენი ტუში ტუში, უთხორბია ქადასათვის ეჭვიმეს, — მე იგი ეხლა ჩემის თვალით გნახე.

წამოდი, ბიძავ და დამაჯერი, უთხოვია ქადა ეჭვიმესათვის.

როცა ტუში შესულან, ეჭვიმეს მოუკიდია ქადასათვის ხელები უელში და დაუხოჩება, მერე ჩაუგდია თხრილში და იქ დაუტოვებია, თვითონ თავის მმართან წასულა.

მერე მოსულან როგორი, აუცილათ ხორცი და წაუღიათ, ძვლები კი ხაუფლავს თხრილში. ხორცი მოუტანათ მათ თავის ბიძაშეიას სახლში და ისამივეს დაუწეულ ხორცის დნობა; მაგრამ ამისაგან ისეთი ცედი სუნი გამდგარა, რომ ეჭვიმეს და მის მმას შეშინებით და გაქცეულან. მარტო მათ ბიძაშეიას დაუდგნა ქონი და ჩამოუსხმეს სახთელი.

ერთი თვის შემდეგ უნახავთ საბრალო ქალის ძვლები, მაგრამ ვის გამოიცნობდა, თუ ვისი მძღვები იყო ის. ამ გვარად მეჭდელობა შეუტყობელი დარჩენილა მაისის თვემდის 1888 წ.

მაისის თვეში, 1888 წ. ამ სოფელში მომსდანაც ჭურდობა. რადგან ზემოთ აღნიშნული შირნი შენიშნული უოფილან, როგორც ქურდები, ამიტომ ეჭვიმეს ბიძაშეიას სახლი გაუქსერევიათ და ჩარდასხედ უნახავთ ხელისა-ხოცი, რომელშიაც შეხვეული უოფილი შემწერი ხორცი.

— ეს ლუკარის სეჭსახოცი ხომ არ არის? უთევებმეს ერთ იქ დამსწრე შირნს.

საბრალო ქალის დედას გაუგზავნეს კაცი. დედა მოვადა და იცნო, რომ ეს ხედსახოცი მისი ქალის იყო; « ეს სეჭსახოცი წაიღო მან შარშან სახლიდგან და მერე აღარ დაბრუნებულა », სოჭა საბრალო დედამ.

მეგდელები დაიგირეს. გამომეძიებელთან იგინი გამოსტყვდნ, მაგრამ სამსჯელში, საქმის გარჩევის დროს კი თავისთავი არ იცნეს დამხაშავედ; «პირებელად მართალია, გამოგსტყვდით, მაგრამ ეს სხვისი რჩევით ჩაიგდინეთ. გვითხრეს: «თუ გამოტყვდებით, გამოტყვდები და ამიტომ ჩვენს თავზე მივიღეთ ეს მეგდელობა! მსჯელების სტოლზე ეწყო ხელსახლიც შემწყარი ხორცით და წერილი, რომელიც ექვთიმეს მიეღო თავის მძისგან სახალინის კუნძულიდგან, სადაც უკინასენელი უოფილა გაგზავნილი. ამ წერილში მძა აქვთ ექვთიმეს მისგან ჩადგნილი ბორცოტებისათვის და სთხოვს, რომ მის რაიმე გზით გამორთდას უძრონს მძა. ექვთიმეს შეოთხე მძა გადასახლებული უოფილა, ხოლო მამა და დედა საბურთხისადე მი უოფილას დაბარიმრებულნი.

მეტთიმე უოფილა 22 წ., მისი მძა 20 წ. და ბიძა შეცდე — 19 წ. სივრც მსაჯელებისათვის მიუციათ სუთი კითხვა, რომლებზედაც მით, შემდეგ მოღაპარავებისა, შემდეგი მიუგიათ: «დასხ, დამხაშავენი არაა». მსაჯელებს დაუდგენიათ: «აქად და უკეთეს უკეთეს და უბრძოს და გადიგზავნოს ცამისაში კატორგაში: ექვთიმე 20 წ. მისი მძა დიმიტრი 8 წ., ხოლო მათი ბძებაშეცდი ცოდნამებეკი 13 წლით და 4 თვით.

ბრალდებულნი როგორც საქმის გარჩევის, ისე განხინების კითხვის დროს მხარეულად იუგნენ თურმე.

რომ კრონშტადში წაეიღა, რათა გულითადი მადლობა შეეწირა მ. იოანნესთვის. ქალის მშობლებმა იცოდენ მამა იოანნეს ქველმოქმედება, ამიტომ მათ ჩასდევს კანვერტი ათასი მანეთი და ეკვლებიაში მიარ თვეს იგი მამა იოანნეს. სწორეთ ამ დროს მ. იოანნეს გვერდით დღე ერთი გამხდარი და ლარიბულად ჩატრული ქალი; მამა იოანნემ ეს კანვერტი მრღვებისათანავე მისუა ამ ქალს და უთხრა: «წალი მშეიცობოთ». «ეს რაპექნოთ, წამოიძახა აგათ მყოფობისგან განკურნებულმა ქალის მამამ, კანვერტში ათასი მარცითი იყო». «რა მერე, განა თქვენ გვნანებათ, წენარად მოუგო მათ მამა იოანნემ, რომ მას ლმერთი საჩრდოს უგზავნის, თქვენ ხომ თქვენის ნებრით მიგ სისუქრი: განა სულ ერთი არ არის, რაცედაც უნდა ვიხმარო იგი მე». ბოლოს ალმოჩნდა, რომ ის საწყალი ქალი თავისი მცირებულები არის შეცროვით თურმე შიმშილით კვდებოდა. მას ყოველივე თავის ქონების დახმარება თავის ქმრის ექიმობაზე და მერე დასაფლავებაზე, და უპატრიონოდ დარჩენილი იყო ქუჩაზე. ამ ფულებით ხაწყალს ქალს შეუძლია თავის თავის და თავის შვილების შენახვა. ეს პირველი მაგალითი არ არის მ. იოანნეს კეცლმოქმედებისა.

### დოცების მაღალა და ქველ-მოქმედების მაგალითი.

ზატჩინოში ერთ შეძლებულ დედ-მამას გასათხოვარი ქალი გაუხდათ აეთ ფრლტების ანთებით; ექიმებმა გამოუცხადეს მშობლებს, რომ იმათი ქალის მორჩენა შეუძლებელია, მხოლოდ დაუნიშნეს რაღაცა უბრალო წამალი ტკივილების შესამსუბუქებლად; ავათ-მყოფი სრულს მეხსიერებაზე იყო და დაჯინგბით სთხოვდა მშობლებს, რომ მათ მოწევიათ მამა იოანნე, რომ იგი შევედროდა მისთვეს ლმერთსა; მესამე დღეს ძრონშტადტის მწყემსი მოვიდა ავადმყოფთან, შეეველრა ლმერთს ავად-მყოფის ლოგინთან, მისუა ქალს დარიგება და ისურეა მისი მაღალ განკურნება; მეორე დღეს ავათ-მყოფი ცოტა უცდ შეიქმნა და ოთხი დღის შემდეგ ფეხზე წამოდგა. სანათ ლისლებოდ ავად-მყოფი ისე კარგად იყო,

### შიო-მღვიმის მონასტერი.

საქართველოს ყველა მონასტრებში განსაკუთრებით შესანიშნავია თავის სიძველით შიო-მღვიმის მონასტერი; იგი მცხეთიდგან მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთით. მაღლიერიდამ ამ მონასტრამდის არის 30 ვერსი, ხოლო მცხეთიდამ 10. იმ აღგილს, რომელიც დღეს მონასტრებს უჭერია, ეძახიან ხარკინეთს, რადგან აქ უწინ რკინის მადანი ყოფილა. ჯერ კიდევ იქსო მრისტეს დაბადებამდე, როგორც მოგვითხრობენ საქართველოს მატიანენი, ამ აღგილზე ყოფილ აგმოქაბული საცხოვრებელი მღვიმები, რომლებიც, როგორც ზეპირ-გაღმოცემით ვიცით, დაუნგრევია ალექსანდრე მაკედონელის ჯარს. ამ აღგილზე ერთ იმ 13 სირიელ მამათაგანს, რომელიც მოსულან საქართველოში მეექეს საუკუნეში და სახელ-

დობ, შიოს აღუშენებია ერცელი უდაბნო ბერ-მონა-ზონთათვის. ამ მღვიმეთა რიცხვის შემდეგში იმდებად უმატია, რომ მათში, როგორც მახუშტი მოგვი-თხობს 5,000 ბერ-მონაზონის სკონეებდნენ. 1845 წელში ამ ღვიმეთა რიცხვი, როგორც ამბობს პლა-ტონ იოსელიანი, ათასამდე ყოფილა. ეს მღვიმები გა-ფანტული არიან მთის ფერდობზე და დღეს ბევრ მათგანს კაცი ვერც კი მიუდგება. ზოგიერთ ამ ღვი-მებში არის ეკვლესია კან კელით. ზანსაკუთრებით ბერი მღვიმები ყოფილან გამოქვაბულნი თვით მთის შეერვალების ძირში.

შიო მღვიმის მონასტერში მიღის სამი გზა: ერთი გზა მიღის მუხრანიდამ და მის მახლობლად მდებარე სოფლებიდან, მაგრამ ეს გზა ძალიან ცუზი სა-სიარულოა, რადგან გაყვანილია ხრამებზე და მაღალ ციცაბო კლდებზე; მეორე გზა მიღის სამხრეთ ქართ-ლიდან, მაგრამ აქ მეზაერს წინ უხვდება მდინარე მტკვარი, რომელზედაც გადი-გამოდიან მონასტრის ნაეით; მეორე გზა მიღის მცხოვიდან. მს უკანასკნე-ლი გზა არის გაყვანილი მთის ქედზე, რომელზედაც მესმ მრისტეს დაბადებამდე მდებარეობდა სატახო ქალაქი, სადაც დღესაც მოსჩანან შენობათა ნანგრე-ვები. მთის ქედის მეორე მხრით უნდა დაუყენ დაქა-ნებულ გზას, რომელიც გაივლის ერთ ხრამხე, რო-მელსაც ჯოჯოხეთის გზას ეძახიან. მონასტერთან მდებარეობს მშენებირი ტყიანი მთა, რომელზედაც აღშენებულია ჯვართ-ამაღლების გუმბათიანი ეკ-კლესია. იგი, შიგნით მშენებირად არის დახ-ტული. ამ ეკკლესიდამ თავს დასხერბიხარ იმ არე-მარეს რომელზედაც მდებარეობს თვით მონასტერი და სხვა შენობები, რომელიც მონასტერს ეკუ-თენიან. ძველი მონასტრის ბერ-მონაზონთა საკე უ-რებელ მღვიმეთაგან დარჩენილა დღეს მხრილ-დე ერთი მღვიმე, რომელიც ქმათა სასაფლაო თთახა ყოფილა. ამ მღვიმეში დღესაც მოსჩანს ერთი მილი, რომლის საშუალებით მღვიმეში შემონავალა წყაროს წყალი; ეს მაღალ გაუკეთებიათ მეთარმეტე საუკუნე-ში, ხოლო მეთვრამეტე საუკუნე-ში ამ მილიდამ წყლის დენა შეწყვეტილა.

შიო-მღვიმის მონასტერი ზედა-ზენის მარატის უმდევე, რომელიც დაუარსებია ასირიელ მამათა უმუროსს იოანნეს, ითვლებოდა პირველ მონასტრად. რადგან ამ უდაბნოში ბერი ბერ-მონაზონი სკონ-რობდნენ, ამიტომ იგი იწოდებოდა ლავრად, რო-

მელსაც მართავდა წინამძღვარი არქიმენდრიტის ხა-რისხით. ამ მონასტრის წინამძღვართაგან განსაკუთ-რებით შესანიშნავი არიან: ევარი, მოწაფე წმ. შიოსი, — ნეოფიტე; ეს ნეოფიტე პირველად პერსის ჯართა უფროსი ყოფილა და სახელად ომარი ჩქმევია. მრის-ტიანობის მიღების შემდეგ დაერქეა ნეოფიტე, რო-მელიც მეშვიდე საუკუნეში შიო-მღვიმის მონასტრის წინამძღვარობისაგან აღყანილ იქმნა უჩბნისის ეპის-კოპოსად.

შიო-მღვიმის მონასტერს ბევრი ადგილები ჰქონდა და გლეხებიც ჰყავდა, მეუებისაგან ნაბოძები; მხო-ლოდ მონასტერს ჰქონდა თევზის ჭერის უფლება მდინარე მტკვარზე იმ ადგილებში, რომელიც მო-ნასტრის მახლობლად მდებარეობდენ, მონასტერს ჰქონდა მშენებირი ვენახი სოფელ ძევში.

შიო-მღვიმის მონასტერში არის სამი ტაძარი: უმთავრესი ტაძარი აღშენებულია გაუთლელი ქვისაგან. მს ტაძარი, როგორც ზეპირ-გადმოცემა მოვეითხრობს, აღშენებულია თეითონ წმ. შიოს სიცოცხლეში. იგი აღშენებულია იოანნე ნათლის-მცემლის დაბადების სახელობაზე; ამ ტაძარს აქეს მიშენებული ოთხი ეგვტერი, რომელიც, როგორც სჩანს, ამ უკანასკნელ დროს არიან აღშენებული. ამ ტაძრის ერთი წარწერა გვარწმუნებს, რომ როგორც თვით ის, ისე მისი თაღი, შეუკეთებია 1730 წელში ზივი ამილახვარს, რომელიც ითვლება თბილისის მაშვეთის ეკკლესიის აღმშენებლად. მს ტაძარი, როგორც ეკკლესიის ოქმებიდან სჩანს, იწოდება სამეუფოდ. უმთავრესი ტაძრის ეგვტერებში იმარხებოდენ დიდ-გვარეულო-ბათა სხვა-და-სხვა პირნი. ამ ტაძარში არის მღვიმე, სიმაღლით ხუთი საეკნი. მღვიმეს უკანიდამ აქეს კა-რები, რომელიც შეუწირავს შაპ-აბაზს. ამ მღვი-მეში არის სასაფლაო ღირსი შიოსი. ამ სასაფლაოს მორთულობა და ტაძრის კანკელი 1725 წელში რსევთიდამ გამოუგზავნია საქართველოს მეფეს ვახ-ტანგ მეცქესეს.

მეორე ტაძარს, რომელიც ლეთის-მშობლის მი-ნების სახელზე არის აღშენებული, გუმბათი არა აქეს. თაღი ანგურისაგან აქეს გაკეთებული. არაენ იცის, თუ ვისი აღშენებულია ეს ტაძარი. მს ტაძარიც, როგორც ზედ-წარწერისაგანა სჩანს, ზივი ამილახვარს შეუკეთებია. მესამე ტაძარი აღშენებულია თვით წმ. შიოს სახელზე, იგი ორივე ტაძარზე მორ-

ჩილია და თვით მონასტრის შესავალთან არის აღმენებული. მს ტაძარი უკურადებოდა არის მიტობული. მს ადგილი, რომელზედაც ტაძარი არის აღმენებული, ყოფილა თავდაპირველი საცხოვრებელი ბინა წმ. შიოსი. ამ ადგილიდამ ცოტა მოშორებით არის წმ. შიოს მღვიმე.

შიო-მღვიმის მონასტერს ჰქონდა მდიდრული სამკაულები, მაგრამ საქართველოს ისტორიულ უძელერ დროთა გამო ეს სიმდიდრე ისე გაიძნა, რომ არასფერი ძალა დარჩენილი მათგან.

1743 წელში ეს მონასტერი სულ უპატრონოდ დარჩენილა, ამიტომ ყველა ის ოქროს ხატები, რომელიც კი ამ მონასტერში ყოფილა ამ დროს, წაულიათ თავად ამილახვერებს და საქართველოს სხვა-და-სხვა ეკვლების დაუსევნებით. შეელა ეს ხატები გაკუთხებული არაა მეორობერე საუკუნეში.

ამ მონასტერში ყოფილა აგრეთვე ბევრიც წიგნები, ეტრატე ნაწერი, მაგრამ ყველა ესები, სამწუხაროდ, დაუწვეს მემორეათა. ზოგიერთი ხელთნაწერები და წიგნები, რომელიც კი მტრის ხელს გადარჩენია, შეუკრებია 1705 წელში ქათოლიკოს ლომენი შესმეგ. შეელა ეს ხელთნაწერები და წიგნები საღვთის-მეტყველო შინაახსინი არიან. შეელა იმ ზედ-წარწერათაგან, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ხელ-ნაწერებზე და წიგნებზე, შეანიშნავია ორი; ერთი ზედ-წარწერა არის «აპოკალიპსის» განმარტებაზე 966 წლისა და 1270 წლის სახარებაზე; როგორც ამ ზედ-წარწერათაგან სჩანს, პირებელი დაწერილია საბერძნეთში, წმ. ულუმბის მთაზე, პრალის მონასტერში, ვასილი და პონატანტინეს მეფობის დროს. მეორე ზედ-წარწერისაგან სჩანს, რომ სახარება 1270 წ. დაუწერია ვიღეცა მღვდელს—ზოორგის წინამდღართ ზოსიმე და ვასილის დროს.

მონასტრის ოქმებში განსაკუთრებით შესანიშნავია პირებელი მეფის დავით აღმაშენებელის ანდერძი, რომელზედაც არ არის აღნიშნული წელიწადი; ამ ანდერძში მოხსენებულია, რომ მიძინების ტაბათი აღმენა მან მეთერთმეტე საუკუნეში და მეორედ ოქმი თამარ-დედოფლისა, რომელიც დამტკიცებულია მასი შეილის-ზელის დავით მეხუთისაგან; ოქმი დაწერილია ჰიონ-დილის ეპისკოპოსის ძნორისაგან, რომელიც თავსთავს «მწიგნობარს» უწოდებდა. ნამდვილია, რომ ეს ოქმი ძეველ დროს კუთხის. ანტონი მართლა სცხოვრებდა დედოფლის თამარის

დროს და საქართველოს ყველა მიტროპოლიტებ-შორის იწოდებოდა პირველიდ.

მს შიო-მღვიმის მონასტერი, რომელიც ოდესშე ასე შესანიშნავი ყოფილა საქართველოში თავის სიმღიდრით და ბერ-მონაზონთა რიცხვით, დროთა-ეკითარებისა გამო ისე დაცუა ამ უკანასკნელ დროს, რომ იგი მიწერილ იქმნა თბილისის ფერის ცვალების დარღვევის მონასტერზე. მაგრამ შეძლებული მას ბედმა ისე გაუდიმა და იგი შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუღების ყოფილად სამღვდელო ძლევაშანდრეს, ზორის ეპისკოპოსს, რომელმაც მონასტრს სასარგებლოდ შესწირა 22 ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ ამ შეწირული ფულის სარგებლოთ ინახებოდეს ამ მონასტერში თახიბერ-მონაზონი, ორი მთავარი და რამდენიმე მოხატილი. ამის გამო ეს მონასტერი ხელ-ახლად შეიქმნა დამოუკიდებელ მონასტრად და მისი ყველა მამულები, რომლებიც დღემდის მიწერილი იყვნენ შტატის სხვა მონასტრებზე, ხელ-ახლად დაუბრუნდა შიო-მღვიმის მონასტერს. იმედია, რომ ყოველად სამღვდელოს მზრუნველობით ეს მონასტერი პირველ დაცვლს დიმიტრის საქართველოს სხვა მონასტრებს შორის და მასში ძართა რიცხვიც იმატებს.

## ახალი აშები და შენიშვნები.

იმ ცნობათაგან, რომელიც უწმიდეს სინოდში წარუდგენიათ ეპარქის მღვდელთ-მთავრებს, სჩანს, რომ ამა წლის 1 იანვარს მთელს რუსეთში თხუთმეტი ათასი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა ყოფილა. ამ სკოლებში ყოფილა 360,000 ყმაწილი.

\* \* \*

საქართველოს საექსარხოსოის ყველა სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლებიდან წარსულს წელში იმდენი მოწაფე გაიგზავნა თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში, რომ ბეჭედი მათგანს უძრი ეთქვა უადგილობისა გამო; მაგრამ მისი მაღალ კულტურულ უსამღვდელობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადის განკარგულებით რამდენიმე მოწა-

უ იქმნა მიღებული პირებულ ორ-კლაში კანონით დაწესებულ რეცხვები მეტი. ზოგიერთ მოწაფეებს კი უარი ეთქვათ, რადგან ისინი 18 წლისაზე მეტი აღმოჩნდენ, ხოლო სემინარიის წესდების ძალით, სემინარიის პირებულ კლაში შემსელებული უნდა იყოს 18 წლის. ამ საგნის შესახებ მისმა მაღალ ყოვლად უსამღედლოებამ საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ სახოვა უწმოდეს სინოდს, რომ 18 მომეტებულ ხნის ყმაწელებისაც მისცემოდათ სემინარიაში შესელის ნება.

მცდა, როგორც გაერეთ, უწმიდეს სინოდს შეუწყისარებია საქართველოს ექსარხოსმა თხოვნა და სემინარიის სამმართველოსათვის მოუწერია, რომ 18 წლისადებედ აღმატებული ხნის ყმაწელებიც მიიღოთ სემინარიის პირებულ კლაში.

\*\*\*

როგორც, გაეგვით, მამა ბენედიქტეს განუზრახავს, რომ ათონის იერის მონასტერი შეუკრის ხოვის მონასტერს (სამეტკლოშია). მარტივ ამ მონასტრებში მ. ბენედიქტეს უნდა შეკრიბოს როგორც ქართველთბერ-მონაზენები, ისე რუსები. ამსაშუალებით მ. ბენედიქტეს უნდა, რომ ორივე ეს მონასტერი გაამშვენოს და გაამდიდროს. ამავე დროს ბ. საბინინი ცდლობს, რომ ბოლობის დარსოს დედათა მონაცერი, რომელშედეც უნდა იქმნენ ნახევრობით ქართველი დედათ-მონაზენები და ნახევრობით რუსებისა.

\*\*\*

ამ უკანასკნელ დროს მეტად გამრავლდენ როგორც რუსეთში, ისე ჩენენი მონასტრების სასარგებლოდ შეწირულებათა შემკრები პირი. ზოგი ამისთანა პირი კაი ძალ ფულებს ჰქონდენ ხელში, ვითომ და მონასტრების სასარგებლოდ. ამ სახით მობოჭელი ფულებით ზოგიერთი პირი დად ადგრელ-მამულებს ყიდულობენ თავიანთი ნათესავების სახელობაზე და თუ ვინმე ჰყითხა მათ: რათ ყიდულობთ ადგილებს თქვენი ნათესავების სახელზედაო, ისინი მიუგებენ: «ასე იმიტომ ვიძულევთ, რომ მონასტრების სახელზე არ შეიძლება მამულების ყიდვაო! სწორედ დრო არის, რომ ამისთანა პირების საქციის ჯეროვანი ყურადღება მოექცეს და მოკრებილი ფულის ანგარიში მოესთხოვოთ ზოგიერთებს.

სწორედ მეუნდება, ქრისტიანობის უარის შემთხვევაში მიუწევნება თქვენ კაცთა მისრი, რომ უკოდებანი მათი, მოგიტევნება თქვენ კაცთა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხლო უკაუ არა მიუტევნეთ კაცთა უკოდებანი მათი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნოს თქვენ უკოდებანი თქვენი (მათ. 6, 14 და 15).

## სიუკვენი

მეუნდების გვირაცხვას შედა. მიუტევნეთ თქვენ კაცთა მისრი, რომ უკოდებანი მათი, მოგიტევნება თქვენ კაცთა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხლო უკაუ არა მიუტევნეთ კაცთა უკოდებანი მათი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნოს თქვენ უკოდებანი თქვენი (მათ. 6, 14 და 15).

მსრედ ბრძანების უფალი ჩენი იქსო ქრისტე დღევანდელს წაკითხულს სახარებაში. ამა ღვთაებრივი სიტყვების გამკონი, კეთილ-მსახურნი ქრისტიანენი, დღევანდელს დღეს, ჩეულებისაბრ, მოითხოვენ ერთმანეთისაგან შენდობას და მოტევებას იმ წყენათა, შეურაცხებათა და შეცოდებათა, რომელნიც ასე სშირი მოვლენა კაცთა შორის. ყოველ დროს საკირა მიუტევოთ ჩენ წყენა და შეურაცხება ერთმანეთს. საუფლო ლოცვაში, რომელსაც ჩენ წარმოესთქამთ ყოველ დილა-სალამოს, სხვათა შორის, სწერია შემდეგი: «მამაო ჩენო, მოგვიტევ ჩენ თანამდებნი ჩენნი, ვითარცა ჩენც მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩენთა», ე. ი. უფალო მოგვიტევ ჩენ-ჩენი შეცოდებანი ისრე, როგორც ჩენ მიუტევებთ წყენათა და შეცოდებათა ჩენ მოკაბათა, რომელთაც ჩენ რაიმეთი შეგვაწუხეს. მაშა სადამე შეცოდებათა მოტევებაზედ ჩენ ვფიქრობთ ყოველ დღეს; მაგრამ გარდა ამისა, რასაც ჩენ ყოველ დღეს ვკითხულობთ საულლო ლოცვებში წმიდა ეკკლესია დადგინა წაკითხულ იქმნას სახარება შეცოდებათა მოტევებაზედ დღეს, დიდ-მარხვის დამდეგს, ამიტომ რომ ამ მარხვაში ყველა ქრისტიანენი შეუდგებიან სინაულს და ვეღრებას დევისადმი, რათა

მან მიუტევოს მათ შეცოდებანი მათნი. ჩვენ აღმართავთ სინანულით საქსე ლოცვას ღვთისადმი, რათა მან მოგვიტევოს ჩვენი ცოდვები, ამიტომ რომ ვერწამს ყოვლად მოწყალება მისი. და ღმერთი ყოველთვის მიუტევებს ცოდვებს გულ-წრთული სინანულით მღლუკველთა, ასე რომ არ არის ისეთი დიდი ცოდვა, რომელსაც არ მიუტევებს ღმერთი შემნანებელთა, მაგრამ ამასთანავე იგი მოითხოვს ჩვენგანაც, რომ ჩვენც მიუტევოთ მოყვასთა ის შეცოდებანი, რომელიც მათ ჩაიდინეს ჩვენ წინა მე. «უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევებს თქვენც მამა-მან თქვენმან ზეცათამან, ხოლო უკეთუ არა მიუ-ტევნეთა კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევებს თქვენ შეცოდებანნი თქვენნი», ბრძანა უფალმა ჩვენმან იქსო მრისტემ. მს იმას ნიშნავს, რომ, თუ ჩვენა გვსურს ღმერთმა მოგვიტევოს ჩვენი შეცოდებანი, ჯერ ჩვენ უნდა მიუტევოთ სხვათა, უკეთუ ჩვენ არ მიუტევებთ ჩვენ მოყვასთა, მაშინ ჩვენც არ მოგვიტევებს უფალი ღმერთი ჩვენი. აქედამ სხანს, რომ ჩვენი შენდობა ღვთისაგან დამოკიდებელია მაჩედ, თუ ჩვენც შეუნდობთ მოყვასთა ჩვენთა; მაშასადამე, საკმაოა ჩვენ მიუტევოთ სხვათა, და ღმერთი მოგვიტევებს ჩვენც, როგორც თვითონ მან გვიბრძანა საუფლო ლოცვაში და დღეს წაკითხულს სახარებაში. მრთი საშუალებათაგანი სხვისი შეცოდების მოტევებისა არის სიმშეიდე, თავითონ ნაკლულევანებათა და სუსტ მხარეთა შევნება და აგრეთვე აღვიარება მოყვასში ზოგიერთ ლირსებათა. ჩვენი თავ-მოყვარეობა გვიჩვენებს ჩვენს თავში მხოლოდ ლირსებათა და სხვებში — ნაკლულევანებათა, ჩვენი მოყვასნიც ესრულე გვიყურებენ ჩვენც: ჩვენშიდ ხედვენ მარტო ნაკლო და თავიანთ თავში — მარტო ლირსებათა. მართალი რომ ვსთქვათ, არავითარ შეურაცხებას ჩვენ არ გვაყენებენ ჩვენი მოყვასნი მით, რომ ისინი ისე გვექცევიან ჩვენ, როგორც ჩვენც მათ ვექცევით. ჩვენ კი დიდ შეურაცხებათ ვსთვლით ჩვენი თავის თავისათვის, როცა ჩვენი მოყვასნი არ ვაფასებენ ჩვენ თავისთავშედ მაღლა. ამიტომ ჩვენ უნდა მიუტევოთ მოყვასთა ყოველთვის, რაც უნდა

დიდი დანაშაულობა მოუქალადეს მათ ჩვენ წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში, ესე იგი როცა არ მიუტევებთ სხეს, ამით ჩვენ თვითონ ძლიერ ბევრს ვკრავთ. უწინარეს ყოველისა, როცა ვემზადებით სამაგირო გადაუხაზოთ ჩვენს მტერთა შეურაცხებისათვის, ჩვენ ვიტანჯებით სულიერად: ვიგონებთ რა მათგან ჩადენილ შეურაცხებათა, ხელმეორეთ ესცილით ის სიამოვნებას, რომელიც კა ხანია გაპქრა. ვინც ჩვენ გვაწყენინა, მას დიდი ხანი დავიწყედა ეს, ჩვენ კი ვიგონებთ ამ შეურაცხებას, ვჯავრობთ, ვაწუხვართ, აზრები და გრძელები გვერევა და გვემლერევა და ეკურგავთ სულიერს სიმშეიდეს, რომელიც შეადგენს ჩვენი ბეჭნიერების უპირველეს საფუძველს. ნუ ვიქმნებით თავის-თავის მტერნი: ნუ ესტანჯავთ თავის-თავს სხვისგან მოყენებული შეურაცხებათა მოგონებით, ნუ ვეშავთ გზას ღვთის წინაშე, რათა მანაც მოგვიტევებს ჩვენ ჩვენი ცოდვები და გვახსოვდეს, რომ, თუ სხვები ხშირად გვაწუხებენ და შეურაცხევულფერ ჩვენ, ჩვენც იმდენჯერ და შეიძლება უფრო ხშირად შეურაცხევულთ იგინი. მაშასადამე როგორც ჩვენი მოყვასნი ჩვენ წინაშე, აგრეთვე ჩვენც მათ წინაშე დამზადები ვართ და მტყუანი. ჩვენც დავიტყოთ და მათაც, რაც ერთმანეთისათვის გვიწყენიებია. მიუტევოთ ჩვენ მოყვასთა მცირეოდენი მათი შეცოდებანი და ღმერთი მოგვიტევებს ჩვენც მრავალთა და მრავალ ცოდვთა ჩვენთა.

ამ მომავალის სინანულისა და მარხეის დღეებში, როდესაც ჩვენ სულითა და გულით უნდა შეუდევთ ვედრებას ღვთისადმი, რათა მან მოგვიტევებს ჩვენი ცოდვები, უნდა მტკიცეთ გვახსოვდეს დღეს წაკითხული სახარების სიტყვები, ვინადგან სიტყვები მაცხოვისაშე შეურყეველ არიან: «უკეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევენს თქვენცა მამა-მან თქვენმან ზეცათამან; ხოლო უკეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევენს თქვენ შეცოდებანი თქვენნი».

ცხოვრების აღწერა დირსისა მამისა ჩვენისა ფ. ში თ უ გ ა ს ი.

ლირსი ში თ უ გ ა ს ი იყო ქალაქ ანტიოქიიდამ. ის ერთად-ერთი მექეიდრე იყო მდიდარი დედ-მამისა. წმ. შიომ პატარაობიდანვე გამოიჩინა სჯულის და სალმრთო საგნების სიყვარული და სიყრმეშივე ღრმად შეისწავლა სალმრთო წერილი. ოცის წლის შიომ გაიგო ამბავი დიდი მოლვაწის ითანხმის, რომელიც თავის მოწაფებით ანლიოქის ახლო უდაბნოში სტეკრებდა, მციდა ამ მოლვაწის სანახავად და ისე მოწონა ბერების ცხოვრება, რომ სამუდამოდ იმათ-თან დარჩენა მოინდომა; მხოლოდ სწუხდა, ვაი თუ დედ-მამა ნება არ დამტოონ. მომავალის მუოდნე ითანხმებ დაამშეიდა ის და ამცნო, რომ თვითონ იმისი დედ-მამა მიღლებენ ან გდლობები სახეს, წაელენ მო-ნასტრებში და ამით მისცემენ იმას ნებას, როგორც ჰსურს, ისე გორგეს. მართლა შიომ დედ-მამა მო-ნასტრებში წაეიღონ და მოვლი თავიანთი ქონება ზეილ ს დაუტევეს. შიო ეწია თავის გულის წადილს: მის კა თავისი ქონება გლახაკო და წაეიდა უდაბნოში მ. ითანხმეთან. ამ უდაბნოში იმან ოცი წელიწადი გაატარა მოლვაწეობაში.

ლირსმა ითანხმებ მრილო ზეგარდმო განტხადება ამოქრია თავის მოწაფებიდამ თორმელი, წასულიყო იყენიაში და დაემყარებინა ქრისტეს სარწმუნოებაში ქრისტები. სხვათა შორის, ლირსი შორც იქმნა ამოქრები. ივერიაში წმ. მამები ზედაზენის მთაზედ დაბინაედნენ. აქ, ამ მთაზედ მ. ითანხმებ იხილა ჩვენება: ყოვლად წმ. ღვთის-მშობელი გამოეცხადა და უბრძნა: მას გაეგზენა თავის მოწაფები საქართველოს სხვა და სხვა კუთხებში საქალავებლად. ყველანი წაედნენ, მხოლოდ ლირსმა შიომ, როგორც განკერძოებულის ცხოვრების მოყვარულმა, გამოსხივა თავის მოძღვარს უდაბნოში წახელის ნება, მიღლო ღოცეა-კურთხევა იმისაგან და საქორთველოს მა-შინდელი ქოლოკოზის ევლავისაგან და დაბინავდა მცე-

თის მახლობლად უდაბნოში, ერთ გამოქვაბულ ადგილას. მაგრამ ლირსი შიო ნათლით შემოსილი იყო და მისი სიწმიდის შუქი აქიდამაც გამოკერთა და გაანთა არე-მარე.

შინმე ევაგრი დიდებული და განთქმული მხე-დარი, ერთხელ ნადირობით გართული, მიეიდა უდაბ-ნოში, სადაც ლირსი შიო იყო, მოულოდნელად წაადგა ბლეიმეს და მასში ნახა მოხუცი, ძრიელ შეკრთა. გან-ცეიფრებულმა მეგრიმ ჰეიონთა მოხუცს ეინაობა. «მე, მიუგო წმინდანმა, ვინმე მწირი ვარ და აქ ემალლობ ღმერთსა. მეგრიმ იგრძნო მოხუცისადმი ღრმა სიყვა-რული და პატივის-ცემა; იმან ძრიელ მოინდომა მიე-ბაძნა მოხუცისათვის და განუცხადა: მე ალარა მსურს შინ დაბრუნება, არამედ მსურს თქეენთან მოლვაწეობა. წმიდანმა ურჩია მეგრის დაბრუნებულიყო შინ, რადგან ფიქრობდა, რომ ევაგრი მჩალ არ იყო ამისთანა მსხვერპლისათვის, მაგრამ მტკაცეთ ადგა თავის სიტყვას წმიდანმა მაინც უბრძანა მასს დაბრუნებულიყო შინ უკანასკნელის განკარგულების მოსახლენად და იმის სარწმუნობის გამოსაცდელად და აგრეთვე შესახებ ღვთის ნების გასაგებად; მისცა თავის კვერთხი და უთხრა, რომ გზაზედ იმ კვერთხით გაეპო მდინარე. მეგრიმ ასრულა ბრძანება. მდინარემ მისცა იმას გზა. ევაგრიმ მისცა მთელი თავისი ქონება გლა-ხაკობს და დაბრუნდა მოხუცთან. მს პირველი მოწა-ფე იყო შიოსი. ამას მოყენენ სხვებიც. იმის მოწაფე ების რიცხვი გამრავლდა. უდაბნოში გაისმა ხმა მღა-ლადებელთა.

მოლვაწეებს ეკულესია დასჭირდათ და სთხოვეს თავის მოძღვარს აეშენებინა იმათვეის საყდარი. ლირსი შიო თავის მოწაფებით დადგა ღოცეად და ევერებოლდა ღმერთს გამოეცხადებინა იმისათვის თა-ვისი ნება ამ განზრახების შესახებ. წმიდანმა საცე-ხლურის მაგიორად ხელის გულზედ დაიკმია საკმევე-ლი. ცეცხლმა ხელი არ დასწევა. წმიდანი გაპევა სა-კმეველის კვამლს, სინამ კვამლმა პირ-და-პირ ცისკენ არ იწია და ამ ადგილს თავისი კვერთხით სამი ეკ-კლესის ადგილი დასახა. ამ გვარად ტაძრების აღ-გილი ზეგარდამო იყო ნაჩენები.

ଅନ୍ତରେକୁ ଏହି ପାତାରେ ଯାଇବାକୁ ଆବଶ୍ୟକ ହେଲା  
ଏହିପାତାରେ ଏହିପାତାରେ ଏହିପାତାରେ ଏହିପାତାରେ

ଏହିପାତାରେ



ଫର୍ମ ଲାଇସେ ମାର୍ଗ.



ლგოის-მშობელი გამოეცხადს შიოს.

შმიდა მოღვაწეებს არა ჰქონდათ შეძლება აეშე-  
ნებიათ ეკკლესიები. მაგრამ იმედი ჰქონდათ, რომ  
ლმერთი უჩვენებდა იმათ სახსარს. სესე მოხდა. სა-  
ქართველოს მაზინდელ მეფეს ფარსმანს ძრელ უკ-  
ვარდა დიდებული მფაგრე და მონილომა მისი ნახეა.  
მიბრძანდა უდაბნოში. მეფემ მფაგრის მოძღვარიც  
ნახა აქ და დიდი პატივი სცა იმას. ვარსმანმა მოხუ-  
ცის წინ მოხსადა თავისი სამეფო გვირგვინი და ისე  
ამბორს უყო იმას. ლირსმა შიომ თავის ხელით და-  
ხურა მეფეს გერგევინი და აკურთხა. ვარსმანმა აღუ-  
თქვა მოხუცს უემზება და, როდესაც გაიგო მფაგ-  
რისადან, რომ იმათ ჰსურთ ეკკლესიები აღმენონ,  
და ალაგოც არის ამისათვის ნაჩვენები, მაგრამ შეძლება  
არა აქვთ, თითონ დაშენა ეს ეკკლესიები და იმათ  
კურთხევაზე დ თეოთონ დაესწრო. მკულესიები ქათო-  
ლიკო ზმა მაკარმა აკურთხა. პმის შემდეგ წმიდანთა  
მოწაფეების ჩიუხემა უფრო იმატა და მოძღვარმა იმზო  
იქვე ახლო სხვა უდაბნო დაუწესა. ლირსმა შიომაც  
ეხლა სხვა მღვიმე გაიკუთა იოანნე წინამორბედის ეკ-  
კლესის ქვეშ და იქ განაგრძობდა თავის მოღვაწე-  
ობას.

ბოლოს წმიდა შიომ განიზრახა დახშულიყო  
მღვიმეში, გამოუსელელად ყოფილიყო იქ. გამოსთ-  
ხოვა ამის ნება ღრმად მოხუცებულ იოანნეს და აგ-  
რეთვე მიიღო კურთხევა ქათალიკოზისაგან. ზამოუ-  
ცხადა თავისი განზრახვა მოწაფეებს, დაუყენა იმათ  
თავის მაგრერად წინამღვრად მფაგრე და ცოცხალი  
დაიმარხა ქრისტეს სიყვარულისათვის. მოძღვარს პურს  
და წყალს მიხსედლის პირდამ აწვდიდნენ მოწაფეები.  
დეაწლმა და მარხულობამ გაახმო, დალია მისი სხე-  
ული, გარნა მისი სული გაბრწყინდებოდა და უკვე  
ჰქონდა სიახლოეს მაცხოვრისას.

მოვიდა ლირსის შიოს აღსასრულის დღე; იმან  
მიიღო წმ. საიდუმლო და განისვენა. ანდერძისაებრ  
ის იმ მღვიმეშივე დამარხეს. მს მეშვიდე საუკუნეში  
მოხდა. 1617 წელს შაჰ-აბაზმა დაქცია და აილო  
შიო მღვიმელის მონასტერი. შმიდანის გვამი სპარსეთ-  
ში წააღებინა. შემდეგში წმიდანის ნაწილები ისევ

დააბრუნეს საქართველოში და დასვენეს იმავე მო-  
ნასტერში, სადაც ახლაც ასვენია. წ. ეკკლესია ლირსი  
შიოს ხსენებას დღესასწაულობს მაისის 9.6 და ყვე-  
ლივრის ხუთშაბათს, როდესაც წმიდანის ნაწილს  
ამოიღებენ ხოლმე თაყვანისაცემლად.

## ნ ა ს ე კ ი ა.

გოლოგოდის არქიეპის შესანიშნავი რეზიდენცია,  
ერთი მღვდლის თხოვნაზე დაწერილი.

(გველი ამავი).

ქ. ტოლმის სასაფლაოს ღვთის-მეტეველის ეკკლ-  
ესის მღვდელს დიმიტრი როსლეცოვს 1808 წელში  
შემდეგი შესანის თხოვნა მიურთოს უკვლად სა-  
მღვდელო კოლეგიის და უსტიუკის ეპისკოპოსისათვის:  
თქვენს მეუღების დაუნიშნავს ჩენის ეკკლესიაზე  
კოლეგიის სემინარის მოწაფე გრიგორი ცივი-  
ლები, შეიძლი იყანე ცივილებისა, რომელიც ამ  
ეპისკოპოსიზე იყო უწინ დაახოჭედ. გრიგორი ცივი-  
ლების თქვენის მეუღებისაგან ნება ეძლევა, რომ მან  
გააგრძელოს სწავლა სემინარიში. ჩენის ეკკლესის სე-  
თი დასხვები ეჭირება, რომელიც მუდამ თავის მოგა-  
ლეობას მტკიცებ დასრულებდეს. თქვენმა მეუღების  
უწინის, რომ ჩენის ეპისკოპოსიზე შტატით არ არის და-  
წესებული მთავარ-დიაკონის ადგილი და ამიტომ მე და  
წემს მნითებ უნდა გასრულოთ ხოლმე ღვთისმსახურე-  
ბა; კურთხევანში სწერია, რომ ტრაპეზითან უსათუოდ  
უნდა იუსტი ერთო კაცი, რომელიც მსახურებდეს მღვდელს  
და თუ მღვდელი თვითონ აღსრულებს ამ მოვალეობას

მდგრელ-მოქმედების დროს, იგი დიდად სცოდავს წანები ღვთისა. მე კა ეს მოსამსახურების უსათუოდ უნდა აღვასრულო, რადგან დახმოქი არ მეყოლება. ჩვენს ეკვესის აქვს სახსავ-სათესი და სათიბი ადგილები და ამიტომ ჩემი მნათე ხშირად სამუშაოდ უნდა წავიდეს და მე ამ დროს იმულებული ვიწები შეგამორთ ღვთის მსახურება. ახლად დანიშნული დახმოქის მამას, იგანე ცივილებს და მნათეს ანდრია ცივილებს მოვრალობისა და მათ ცუდ მოქმედებათა გამო მეუზიელე თქენ მეუზებისთან, რაიმა გამო თქენმა მეუზებმ დათხოვა იგანე ცივილები დახმოქობიდამ. მის გამო ჩემზე უქმდოვა-ლოდ არიან, როგორც დახმოქად დანიშნული გრაგორი ცივილები, ისე მისა მმა მნათე ანდრია და მიმოქმ მეშინა, რომ მათ სიცოცხლებს არ გამომათხოვონ. ამი-ტომ უმორჩილესად კვითხოვ თქენს მეუზებას, რო-გორც მოწევალე მამას და მწერებ-მთავარს, რათა დათ-ხოვთ დახმოქობიდამ ახლად გამწესებული დახმოქა-გრაგორი ცივილები და მის ადგილზე დანიშნოთ გარე-შე შირი, რომელიც ერთგული ემსახუროს ეკვესიას.

ამ თხოვნაზე შეძლები რეზოლუცია დაუწერია უკვლად სამდგრელო ეკვენის: «1808 წელს, აპრილის 27. მიწერის ტოტმის სასულაერო სამმართველოს წაუკითხოს მთხოვნელს მის თხოვნაში მთხოვნელს მიზეზების შასეუსად 1) წმ. მახარებლის ლუკას სახა-ოების მე-22—თავის 26 და 27 სტრიქონები, მათეს სახარების 20—თავის 26, და 28 იოანეს მე-13 თავის მე-16 სტრიქონი. 2) წმ. ჰელე მოციქულის კორინ-თელთა მიმართ პირველ ეპისტოლის მე-9 —თავის 7, 8, 9, 10 და სხვ. 3) მახარ. მათეს სახარების მე-5 თავიდან 44 სტრიქონი. უკვლად ამაგბმა უნდა დააიგი-როს მთხოვნელი, რომ მალიან დიდ არ იფიქროს თვალის-თვაზე.

ამ რა სწერიან ზემოთ აღნიშნულ ადგილებში:

1) ლუკა თავი 22, სტრიქონი 26 და 27: «ბოლო თქვენ არა ეგრე იყენეთ, არამედ უდიდესი იგი თქვენ შორის იყავნ მრწერ, და წინამძღვარი იგი, ვითარცა მსახური. ვინ არს უფ-როსი, რომელი ინახოთ ჭიხის, ანუ რომელი მსახურებს? ანუ არა რომელი იგი ინახით ზის ბოლო მე ვარ შორის თქვენისა,

ვითარცა მსახური». მათე თავ. 20. სტრიქ. 26, 27 და 28: «ბოლო თქვენ შორის არა ეგრეთ იყოს: «არამედ, რომელისა უნდა თქვენ შორის დიდ-ყოფაი, იყავნ თქვენდა მსახურ, და რომელ-სა უნდა თქვენ შორის წინა-ყოფაი, იყოს იგი თქვენდა შონა: ვითარცა მე კაცისა არა მოვიდა, რათამცა იმსახურა; არამედ მსახურებად და მოცემად სული თვისი სახსრად მრავალთა-თვის». ისან. თავ. 13, სტრ. 16: ამინ, ამინ გეტუგი თქვენ: «არა არს მონა უფროს უფლისა თვისისა, არცა მოცემელი უფროს მომავლინებელისა თვისისა».

2) 1 კორ. თავ. 9, სტრ. 7, 8, 9, 10 და სხვანი: «ანუ მე მსოლო და ბარნაბას არა გვაქვს ფლობაი საქმედ? გინმე სადა საგრიბან თვისითა საგრილითა? ვინ დაასხის ვენარი და ნაყოფისა მისგან არა სჭამის? ანუ ვინ მწერინ სამწუხოსა და რისისა მისგან სამწყელითასა არა სჭამის? ანუ კაცობრივ მე ნუ ვიტუში ამას? ანუარა სჯელიცა ამასვე იტევის? რამეთუ სჯელ-სა მოსესია წერილ არს: არა შეეკრა პირი ხარსა მლეწ-ველს. ნუ უკვე ხართა რომე ეროვნობდა ლმე როსა? არამედ ჩენ უკველთათვის რამე იტევის; რამეთუ ჩენითვის დაიწერა; რამეთუ სასოებით თანა-ამას ხნეაი, მხვნელისა მას, და რომელი იგი ლეწვენ, სასოებით მითვე შეერება სასოებით». 3) შათ, თავ. 5, სტრ. 44: «ხოლო მე გეტუგინ თქვენ: გიყვარდესთ მტერი თქვენი, და აკურთხევდით მტევვართა თქენთა, და ეთილისა უყოფდით მოძულეთა თქენთა, და ულოცევდით მათ, რომელ მძლავრობდენ თქვენ და გდევნიდენ».

კოლგოდის სასაულიერო კონსისტორიას, ზემოთ აღნიშნული თხოვნისა და მაზე დაწერილი რეზოლუციის გამო დაუდეგინია: მათი მეუზების რეზოლუციის კერთვანად აღსრულებისათვის, უქაზი გაეგზავნოს ტო-ტემის სასულიერო სამმართველოს და მასთან გადახდეს მდგრელს მარების ფული 1 მ. და 20 კ. ბეჭდისა—50<sup>1/2</sup> და ეს ფულები გაიგზავნოს, სადაც კერ არ ის. მისის, 1808 წელს.

ამ სახათ მდგრელი როსლეცები რო ნაირად შეიქმნა დასჭირი: ერთის მხრით იმითი, რომ მისი თხოვნა არ შეეწყისარებიათ და მასთან გამოცხადებია უფ-ლად სამდგრელისაგან სასტრივა შენა შენა, ხოლო მეო-რეს მხრით შტრაფიც გადაუხდევინებიათ.

## ი ს უ ი ღ ე ბ ი ა ნ

დებანიზი დავით ლამბაშიძისგან შედგენილი  
და გამოცემული წიგნები:

თბილისში: ზრიქუროვის, ჩარკვიანის და  
ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში, ქუთაისში:  
მ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, შვირი-  
ლაში: თეით გამომცემულთან და ხონში:  
წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

## ს ა ქ ა ს ი ვ ე ლ ი ს ს ა ე პ ლ ი ს ი ს

ი ს თ ი რ ი ა ,

ფასი ყდოთ — ცხრა შაური.

## ქ ა ს ი ა უ ლ ი დ ლ ი რ ვ გ ა ნ ი ,

თვეება მეტყველობით, ქორონიკონით და მართლ-მადლ-  
დებელი მარცხის უზრუნველყოფისა და დამსახურების ისტო-  
რიული მოთხოვით.

ფასი 75დო 30 კ. და ყდოთ 45 კ.

## ა ხ ა ლ ი გ ა რ ა მ ა ლ ი ნ ი

ფასი ერთი შანეთი.

ეს წიგნი განსაზღვრული და ნება დარიულია კავკასიის  
საექიმო რჩევისაგან.

მლავდელთათვის საიდუმლოების შესრულე-  
ბის დროს საჭირო.

## ს ა ხ ე ლ ი მ დ ლ ი ზ ა ნ ე ლ ი ს წ ი გ ნ ი ,

ფასი ყდოთ სუთი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა

## წ ი გ ნ ი ს დ ე ბ ი უ ლ ე ბ ა ,

ფასი ყდოთ — 50 კ. და უყდოთ 40 კ.

## ქ ა რ თ ვ ე ლ ი გ ა ნ მ ა ს ა ლ ი

### წ მ ი ღ ა ნ ი ღ ა

ქართველთ განმანათლებელი

სურათებით ფასი 25 კ.

## გ ა ე ნ ა თ ი ს მ თ ნ ა ს ტ ე რ ი

და ცხოვრების აღწერა მეთის

## დ ა კ ი ა ს ა ლ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ა .

ფასი ექვსი შაური.

წ მ . ზომენი დავით და კონსტანტინე

მოწამეთის მონასტერი

ფასი 5 კაპეკი.

საკრწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსის

და სახალხო საკითხავი წიგნაკები:

შაილი დოი, სურათთ — ფასი . . . . 2 კ.

მირმა უფლისა, „ „ „ „ „ 2 —

დიდ-მარსების ჯინ, „ „ „ „ „ 2 —

ხარება უკვლად წმიდა ლვთის-

მშობლისა, სურათთ . . . . . 2 —

ბზობა სურათთ . . . . . 2 —

ალდგომა სურათთ . . . . . 2 —

ვონტოელი ვილატეს მეუღლის წე-

რილი თავის მეგობარ ქალთან . . . . 5 —

მევე სოლომონ გრძელი, სურათთ . . . . 5 —

ცხოვრების დწერა წ მ . მოც. სწორის

დიდის თეატრის მარცხის . . . . . 2 —

წმიდა ნინა ქართველთ-განმანათლებელი 2 —

შიო-მღვიმის მონსტერი და ცხოვრების

აღწერა დირსის მამისა ჩვენისა შიოსი 5 კ.

გინც ზემო აღნიშვნულ წიგნებს გამოიწერს არა ნაკლებ  
ერთი თემისა, მას მანეზე დაეთმობა სამი შაური.

ვინც 2 კ. წიგნაკებს დაიბარებს არა ნაკლებ ასი ცა-  
ლისა, ის ფოსტის გასაგზას არ იხდის.

\* შინაარსი: მუნ შეეშინა შიშისა, სადა იყო არა იყო შიში.—რა მდგომარეობაშია დღეს ჩვებში სწავლა—განათლების საქმე.—  
ცრუ მორწმუნების სხვერცლი.—დანცვის ძალა და ქველ-წმენდების მაგალითი.—შიო-მღვიმის მონსტერი.—ახალი ამბები  
და შენიშვნები.—სოლუცა.—ცხოვრების აღწერა წ მ . შიო-მღვიმებისა.—ნაკეთი.—განცხადება.